

ანზორ გეგეშვილი

გეცდოვა თე
დაწერებული?

ნატილი VI

„ნაციონალიზმის ხეას არ მიმდევ!“

თბილისი
2012

ანზორ ბაბუქაძია: შეცდომა თუ დანაშაული?! (ნაწილი VI). გვ. 52.

ISBN 978-9941-0-0352-3 (ყველა ნაწილის)
ISBN 978-9941-0-4789-3 (მექვენე ნაწილის)

აუტორისაგან

ჩვენი ნაშრომების ციკლის მეხუთე კრებულის რეცენზიის დასასრულს, პროფესორმა რევაზ ბალანჩივაძემ ბრძანა: „ბატონო ანზორ! და „შეცდომა თუ დანაშაულის?!“ ეს მეხუთე წიგნი იქცეს თქვენი გულისტყავილის გამოხატვის ბოლო წიგნად. მინდა ვისურვო, რომ ყოველ ქართველს ისევე შესტკოდეს გული ქართულ საქმეზე, ჩვენი ერის აწმყოსა და მომავალზე, როგორც თქვენ!“

მინდა ვაღიარო, რომ ბატონ რევაზს სურვილი ვერ შევუსრულე, რადგან ქვეყნაში მდგომარეობა, ჩვენი ბედოვლათი ზელისუფლების გადამკიდე, სულ უფრო გაუსაძლისი ხდება. ასეთ პირობებში, ჩავთვალე, რომ გაყუჩების უფლება არც ერთ საღად მოაზროვნე პიროვნებას არა აქვს და, მათ შორის, ალბათ, არც მე. მით უმეტეს, რომ მეხუთე კრებულის მეორე რეცენზენტმა, ცნობილმა უურნალისტმა ვილენ მარდალეიშვილმა თავისი გამოხმაურება ჩემი მისამართით ასე დაასათაურა: „ერის წყლული უჩანს წყლულად...“ ზემოთ ნახსენები კრებულის რედაქტორმა, პროფესორმა ვალერი ასათიანმა კი ჩვენი ნაღვაწი ასე შეაფას: „დღეს მე იშვიათად მეგულება, ან ნაკლებად მეგულება ეკონომიკის პრობლემებზე მოფიქრალი და მომუშავე ადამიანი, რომელსაც იმგვარი სიმბაფრით ჰქონდეს შეგრძნებული და გააზრებული ერის თვითთავადობის, თვითმყოფადობის, მშობლიური ენის გადარჩენის აუცილებლობა, როგორც ეს ამ წიგნის ავტორის პიროვნებაში იყრის თავს.“

ასეთი დონის ავტორიტეტების შეგულიანებამ თავისი გაიტანა, რაც საკმარისი აღმოჩნდა „შეცდომა თუ დანაშაულის?!” თქვენს ხელთ არსებული ახალი, VI ნაწილის შექმნისათვის. მოქმედი ხელისუფლების მისამართით წაყენებული ბრალდებების ჩამონათვალი იმდენად დიდია, რომ მასთან შედარებით ჩვენი საბრალდებო დასკვნები, რომ იტყვიან ზღვაში წვეთია. ვფიქრობ, მტყუან-მართალის განკითხვის ჟამი მალე დადგება!

საბედნიეროდ „ქართული ოცნების“ სახით გამოჩნდა იმედი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საღად მოაზროვნე ნაწილი თავის ბედნიერ მომავალთან აიგივებს.

დადგა დრო, ყველამ ერთხმად დავჭროთ:

„ცა ფირუზი ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო“

მნილოდ თბილი გაძლიერება ნაშენობთა
უზრუნველყოს „შეკვეთა თუ დანაშაულის?!“

V ნაწილზე

ერის წყლული სტუდია წყლულად...

ანზორ ბაბუხაძიას პილევ ერთი ახალი
კუპლიცისტური პრეპულის გამო

ვინც ანზორ ბაბუხაძიას იცნობს, მჯერა, ყველა დამეთანხმება,
რომ იგი უთუმცაოდ ის იშვიათი კაცია, რომელსაც ერთ-ერთი
ყველაზე დიდი ქართველი ნატრობდა, რათა ზღვა ხალხიდან გა-
მორჩეულისთვის ფიქრი ენდო და თავისი გრძნობა გაეზიარებინა...

ანზორ ბაბუხაძია ჭეშმარიტად გამორჩეული მოქალაქე, მოლ-
ვაწე და მამულიშვილია. ამაზე მეტყველებს ეს ახალი კრე-
ბულიც, რომლის გულდასმით წაკითხვა უწინარესად ჩვენს
ხელისუფალთ წაადგებოდა, რადგან ავტორი ნიშანდობლივ ჩა-
მოთვლის იმ გადაუჭრელ პრობლემებს, რომელთა გადაჭრასაც,
მთების უსაზღვრო ლოდინისა არ იყოს, აგრერიგად ელოდებიან
ხალხიც და ქვეყნაც.

ამ ის პრობლემებიც:

- საკუთრების უფლების უგულებელყოფა;
- გაუმართლებელი ეკონომიკური პოლიტიკის გამო ქართუ-
ლი სოფლის მიტოვება-განადგურება;
- ხალხისა და „ერთი მუჭა“ ოლიგარქების ეკონომიკურ
მდგომარეობას შორის უკიდეგანო უფსკრულის ჩამოყალიბებაში
ხელის შეწყობა;
- უცხოური გრანტებისა და „დაზმარებების“ გამოყენება ყო-
ველგვარი ქართულის დასასამარებლად;
- ეროვნული ცნობიერების ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად
ყველა ეტაპზე და ყველა დონეზე ხელოვნურ წინაღობათა შექმნა;
- ქართული ენის მიზანმიმართული განადგურება და არავი-
თარი ზრუნვა ჩვენი ენის გადასარჩენად (ამ პრობლემას ეძღვნე-

ბა აქვე გამოქვეყნებული ოთხი პუბლიკაცია;

— აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს გმირულად დაღუ-
პული ბიჭების ხსოვნის უკვდავსაყოფად შეთავაზებული ღონის-
ძიებების უგულვებელყოფა;

— ქვეყნის წარსულის არაშესაბამისი შეფასება და XX სა-
უკუნეში მოღვაწე თაობის არარაობად წარმოჩენა... და კიდევ
რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

საგულისხმოა, რომ წიგნის ავტორისთვის კონკრეტული აღ-
რესატები, არც მეტი არც ნაკლები, გახლავან: ქვეყნის პრეზი-
დენტი; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თავის მოად-
გილეებიანად; საქართველოს თავდაცვის მინისტრი; საქართველოს
მწერალთა კავშირი; ზოგიერთი „მწერალი“ და ჟურნალისტი.

უთუოდ ფართო საზოგადოებრივი განხილვის თემაა და არ
გამოვრიცხავთ, რომ საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის სა-
განი გახდეს სტატია: „კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნა
პატრიარქს“, რომელშიც ობიექტურად არის გაანალიზებული
პოლიტიკური პარტიების როლი, ქვეყნაში შექმნილი კატასტ-
როფული მდგომარეობა და ქვეყნის შემდგომი მოწყობის თამამი
რეკომენდაციები.

კრებულის ერთ-ერთი რეცენზენტი, პროფესორი რევაზ ბა-
ლანჩივაძე აგრე მიმართავს ავტორს: „ბატონო ანზორ! დაე
„შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს ეს მეხუთე წიგნი იქცეს თქვენი
გულისტკივილის გამოხატვის ბოლო წიგნად. უნდა ვისურვო,
რომ ყოველ ქართველს ისევე შესტკიოდეს გული ქართულ საქ-
მეზე, ჩვენი ერის აწმყოსა და მომავალზე, როგორც თქვენ!“

ცნობილი ჟურნალისტის ვიღენ მარდალეიშვილის აზრით,
„შეცდომა და დანაშაული?!“-ს მეხუთე ნაწილი, რომლის ქვე-
სათაურია — „მოდგმა გადამირჩინე, ღვთისმშობელო მარიამ“,
თოთქოს გასაღებია მთელი ამ კრებულისა... ანზორ ბაბუქადიას,
რა გასაკვირია, რომ უპირველესად თავისი სამშობლოს, საქარ-

თველოს წინაშე არსებული პრობლემების სამზეოზე გამოტანა განუზრახავს და ენის, მამულის, სარწმუნოების შინაური თუ გარეშე მტრისგან დამცველთა წინა რიგებში დგას!“

წიგნს წინასიტყვად უძღვის ცნობილი სწავლულის, წიგნის რედაქტორის ვალერი ასათიანის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ „ბატონი ანზორი წერს ადამიანის, ქვეყნის სიყვარულით. იგი ვერ ეგუება უსამართლობას, უმეცრებას, ცინიზმს, არაპროფესიონალიზმს, უზნეობას, უმსგავსობას, ქვებუდანობას, უპრინციპობას, გულგრილობას, მლიქენელობას, თავაშვებულობას... ვერ ეგუება ერის წინაშე ჩადენილ „დანაშაულს“. ამიტომაც ჰქვია მის წიგნს „შეცდომა თუ დანაშაული?!”

ვერ ეგუება და იბრძვის. და თუ ჩვენ, ქართველებს, საქართველოს მოქალაქეებს, ნამდვილად გვინდა უკეთესი ხვალინდელი დღე, მომავალი საქართველოს კეთილდღეობა, მხოლოდ ტელემაყურებლად და მკითხველებად კი არ უნდა ვიქცეთ, არამედ უნდა ვიმოქმედოთ, ვიბრძოს ისე, როგორც იბრძვის ბატონი ანზორ ბაბუხადია თავისი ცხოვრების წესითა და „სიტყვით საქმიანით“.

ბიოლოგიაში არის ერთი ასეთი ტერმინი – ალგეზია, რაც ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, ორცა ორგანიზმს დაკარგული აქვს ტკივილის შეგრძნების უნარი. ამჟამად სწორედ ასეთ მდგომარეობაშია საქართველო, თვითონ ქართველი ხალხი, მთლიანად ჩვენი საზოგადოება, ხოლო ანზორ ბაბუხადია იმ არასტატისტიკურ მოქალაქედ გვევლინება, რომელიც თითქოსდა ყველას მაგივრად გრძნობს ჩვენს საერთო ტკივილს და კი არ კენესის, არამედ ხმალამოწვდილი მებრძოლის ყოფინით ცდილობს მრავალწლიანი სიცრუის ბურანში ჩათვლემილი ქვეყნის შეჯანჯლარებას...

გურამ გოგიაშვილი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 11 აგვისტო 2011 წ.

ს კამდა კარგულთა და ს კამდა-უკარგაუთა შეტომები და დანაშაული

ვერდიპტი, რომელიც გამოაძვს
ანზორ გაბუხადიას რიგით მეცუთი ნიგნე
ციკლიდან: „შეცდომა თუ დანაშაული“?

უცნაური ზნე სჭირო ყოფილ ხელისუფალთ.

გამოაცლიან თუ არა სკამს, მეყვსეულად ისე რადიკალურად გაოპოზიციონერდებიან, რომ ფიქრობ, ნეტავ, ზოგიერთი სხვაც დროულად მოისროლონ თანამდებობიდან, რათა ჩვენც გვეშველოს და მათ გაუკულმართებულ აზროვნებასაც.

— დღევანდელი თქვენი ამბიციები ჩემთვის გაუგებარია. — გაითხელობთ ოპოზიციონერის მანტიამოსისმულ ზურაბ ნოღათ დელისადმი ანზორ ბაბუხადიასეულ მიმართვაში.

პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და მობოდიშების გარეშე უნდა ვთქვა, რომ ამ ოდიოზური პიროვნების ოპოზიციონერობა და ამბიციები სრულიად გაუგებარია ჩემთვისაც და, ალბათ არა მარტო ჩემთვის.

რატომ?

ორჯერ ფინანსთა მინისტრად და საქმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთავრობის თავმჯდომარედ ყოფნისას მან დიდად დააზარალა საქართველო და ქართველი ხალხი. ამის დასტურად ახალგამოცემული წიგნიდან ორ ამონარიდს მოვიტანთ:

„თქვენი საქმიანობის პერიოდში უგულებელყოფილი იქნა პრივატიზაციის პროცესის ჩერენეული ხედვა; მსოფლიო გამოცდილება და საქართველოში ყველაფერი ხელალებით გაიყიდა. —

მიმართავს ავტორი, – ჩვენი გათვლებით, თითოეულ მოქალაქეს უნდა შეხვედროდა 12 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების ქონება, ნაცვლად მიღებული ერთი ვაუჩერისა, რომლის ღირებულება არ აღემატებოდა 30 დოლარს. ამით ხელისუფლებამ მოსახლეობას შეგნებულად ჩამოართვა უფლება, კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ეროვნული კაპიტალბრუნვის სივრცეში, რაც საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტი იქნებოდა“.

ახლა მეორე ამონარიდსაც მივაპყროთ ყურადღება, რათა ბოლომდე გავისიგრძეგანოთ, თუ რა მოელის ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს იმ პირობებში, როცა საქართველოს პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი უკავია მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშებით საგარეო ვალის მოცულობაში. ამ ვალმა 2010 წელს ერთ სულზე 20 ათას ამერიკულ დოლარს მიაღწია, ანუ თითოეულ ოჯახს საშუალოდ 60-80 ათასი დოლარი დაედო ვალად.

პერსპექტივა?

ცუდად, ჩვენზე გაცილებით ცუდად იცხოვრებენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები, მით უფრო, თუ გავთვალისწინებთ, რომ საგარეო ვალის შეფარდებამ მთლიან შიდა პროდუქტან (2007 წელს) 75,1 პროცენტი შეადგინა.

ზურაბ ნოლაიდელისათვის გაგზავნილი ზემოხსენებული ლიაწერილი, რომელიც ფაქტობრივად მისი წარსული საქმიანობის შესახებ საბრალდებო დასკვნაა, ამ წიგნში გამონაკლისი არ არის. საკუთრების უფლების იგნორირების; გაუმართლებელი ეკონომიკური პოლიტიკის გამო ქართული სოფლის მიტოვება-განადგურების; ხალხისა და ერთი მუჭა ოლიგარქების ეკონომიკურ მდგომარეობას შორის თვალჩაუწვდენი უფსკრულის ჩამოყალიბებისათვის, უცხოური გრანტებისა და დახმარების

ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ გამოყენების; ეროვნული ცნობიერებისათვის დაუძლეველი ბარიერების შექმნის; ქართული ენის მიზანმიმართული განადგურებისა და მისი გადარჩენის კონკრეტულ წინადადებათა იგნორირების; ხუთდღიან ომში გმირულად დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად შეთავაზებულ ღონისძიებათა უგულებელყოფის; XX საუკუნეში მოღვაწე თაობათა არარაობად წარმოჩენისა და ქვეყნის წარსულის არაადექვატური შეფასების გამო ავტორის ადრესატები არიან ქვეყნის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, თავდაცვის მინისტრი, საქართველოს მწერალთა კავშირი, ზოგიერთი მწერალი და უურნალისტი.

განსაკუთრებით საინტერესო წინადადებაა გამოთქმული სტატიაში „კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნა პატრიარქს“, რომელშიც სიღრმისეულადაა გაანალიზებული როგორც პოლიტიკური პარტიების როლი, ისე ჩვენს სამშობლოში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა და გამოთქმულია ქვეყნის შემდგომი მოწყობის საკმაოდ თამამი, მაგრამ დასაბუთებული, ამასთან ზნეობრიობით გამორჩეული რეკომენდაცია.

საქართველოს ბეჭდურ მედიაში, მათ შორის გაზეთში „სარკმელი საქართველოსი“, გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც წიგნშია შეტანილი, გაერთიანებულია საერთო ქვესათაურით – „მოდგმა გადამირჩინე, ღვთისმშობელო მარიამ“.

„სარკმელი საქართველოსი“ შემთხვევით არ გვიხსენებია. ბატონი ანზორი ამ გაზეთის დაარსების დღიდან მისი რედაქტორთა საბჭოს წევრი და მთავარი ეკონომიკური მრჩეველია. ამას ხაზს იმიტომაც ვუსვამ, რომ ფრიად ფართოა მისი არა მარტო როგორც პროფესიონალი ეკონომისტის, არამედ როგორც უურნალისტის სამოქმედო არეალიც. ეს დასტურდება თუნდაც მისი საავტორო გაზეთ „თანადგომითაც“, რომელმაც იმიერ საქართ-

ველოში წასულ ღირსეულ მამულიშვილთა მართლაც რომ დიდებული პანთეონი შექმნა.

— თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა უკეთესი ხვალინდელი დღე და მომავალი საქართველოს კეთილდღეობა, უნდა ვიმოქმედოთ და ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძვის ანზორ ბაბუხადია თავისი ცხოვრების წესითა და „სიტყვით საქმიანით“ — ბრძანებს წინათქმაში წიგნის რედაქტორი პროფესორი ვალერი ასათიანი, რომელსაც ცხოვრების მისეული წესითა და გამორჩეული სინდისიერების გამო დასტურ რომ ჭეშმარიტად აქვს ამგვარი განცხადების მორალური უფლება.

თუმცა ზემოთ მოტანილ ამონარიდში „ყველაფერია თქმული“, ერთ სურვილს მაინც გამოვთქვამდი:

კრებულს ერთვის იმ 36 პუბლიკაციის ჩამონათვალი, რომელიც „შეცდომა თუ დანაშაულის“ ხუთწიგნეულში არ შესულა. მათ შორისაა გაზეთის – „სარკმელი საქართველოსი“ 2001 წლის იანვრისა და ივნისის ნომრებში დასტამბული ორი ძალზე საყურადღებო სატატია, რომლებსაც საერთო სათაური აქვთ – „დაე, ისმინოს ბრმამაც და ყრუმაც“.

ჩემი ღრმა რწმენით, საჭიროა, რომ არამარტო ეს ორი, ყველა სხვა სტატიაც კიდევ ერთ დამატებით წიგნად აიკინძოს, რათა ყველამ, ვინც ამბობს, რომ გაზეთებს არ ვკითხულობო, წიგნს და მასში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს მანამდე გაეცნოს, ვიდრე სკამს დაკარგავს და ამჟამინდელი „ყოფილებივით“, თანამდებობის დაბრუნების წყურვილით შეპყრობილი, უცხო სახელმწიფოთა კარიდან კარზე დაიწყებს ხეტიალს.

ალექსანდრე შეგებია
გაზეთი „რეზონანსი“. 29 აგვისტო, 2011წ.

„...ან ალექსანდრი მიწისაუკან ბირისა ჩოგორუ ქრი!“

გვესაუბრება ცნობილი ეკონომისტი და პუბლიცისტი, გაზეთ „თანადღომის“ რედაქტორ-გამომცემელი, ღირსების ორდენისა და იაკობ გოგებაშვილის მედლის კავალერი ანზორ ბაბუხაძია

— ბატონო ანზორ, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისია. საზოგადოება აშკარად უარყოფითად არის განწყობილი პოლიტიკური პარტიების საქმიანობისადმი, რომლებიც თავიანთი უნიათობით, ხშირად კი აშკარა გამყიდველობითაც, თანაბრად უშლიან ნერვებს მის მოაზროვნე, ღირსეულ ნაწილს. ამგვარი ვითარების, განსაკუთრებით კი 21-25 მაისს მოშხდარი მოვლენების ფონზე, როგორ შეაფასებთ ქვეყნის ამჟამინდელ მდგომარეობას და უახლოეს პერსპექტივებს?

— თქვენს შეკითხვაში ორი უმნიშვნელოვანები პრობლემაა დასმული, რომლებზეც შეძლებისდაგვარად ამომწურავი პასუხის გაცემისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სუბიექტური ფაქტორის გამორიცხვის მიზნით, გაგაცნობთ ორ ამონარიდს ჩემთვის ანგარიშგასაწევი პიროვნებების ახლახან გამოცემული წიგნებიდან. შემდეგ კი მდგომარეობის გამოსწორების გზების ძიების თაობაზეც ვისაუბროთ.

1. „თუ დემოკრატიაა, მაშინ ამის თქმა უნდა შეიძლებოდეს. თუ დემოკრატიაა, მაშინ ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ არასოდეს მისი მდგომარეობა ისე საშიში, ისე საგანგაშო, ისე საბედისწერო არ ყოფილა, როგორც დღეს არის. დღეს ჩვენს

ერს ყოფნა-არყოფნის საშიშროება უდგას. ან გამოვნახავთ საკუთარ თავში სათანადო სულიერ ენერგიას. მოვიკრებთ საჭირო ძალებს და წინ აღვუდგებით ამ ღვარცოფივით მოვარდნილ წამლებ ძალას, ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა, როგორც ერთ“;

2. „პოლიტიკოსები, ძირითადად უპროფესიო ან ხელმოცარული ადამიანები ბრძანდებიან. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც... პოლიტიკოსები, ქვეშეცნეულად საშუალო ან უფრო დაბალი გონიერივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებიან!). სამაგიეროდ, მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ – მოჩვენებითი სიდარბაისლით, აგრესიულობით, შეუფერებელი ლაყბობით, ან სულაც „ბრძნული მდუმარებით“.

პირველი ამონარიდის ავტორი გახლავთ აღიარებული ქართველი მეცნიერი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, პროფესორი რეგაზ ბალანჩივაძე, რომლის წიგნების: „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“ და „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“ წარდგნა ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა საქართველოს მწიგნობართა ასოციაციაში. მეორე ამონარიდის ავტორი კი გახლავთ ცნობილი ქართველი ჟურნალისტი თემურაზ ქორიძე („საუბრები ჟურნალისტიკაზე“, თბილისი, 2010წ.), რომლის აღნიშნული წიგნიც ასევე ცოტა ხნის წინათ გააცნეს საზოგადოებას წმინდა სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში.

აღბათ დამეთანხმებით, რომ როდესაც ასეთი ცნობილი ავტორები, როგორც იტყვიან, დაწყნარებულ გულზე დაწერენ და სახელმძღვანელოებშიც შეიტანენ ამას, მაშინ, სამწუხაროდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეალურად ქვეყანაში მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა.

– პოლიტიკოსად გახდომას დღეს, სოფლის შენებისა არ იყოს, რა უნდა. სულ რაღაც ერთ საათში შეგიძლია დაარე-

გისტრიორო ნებისმიერი პარტია, ოღონდ სიტყვა დემოკრატია გაურიე მისი წესდება-პროგრამის თავში, შუაში ან ბოლოში და მორჩა – პოლიტიკოსი ხარ. ამის გამოა, რომ ქვეყანაში მათდამი ნდობა დღეისათვის თითქმის ნულის ჭოლია...

– მართალი ბრძანდებით, არ ენდობან. ან კი, როგორ უნდა ენდო ისეთ ე.წ. პოლიტიკოსს, რომელმაც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად პარტიულ სიაში გამსვლელი ადგილის მოპოვებისთვის ქრთამი გადაიხადა? დიახ, დიახ, ქრთამი გადაიხადა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით!

ამავე სიბრტყეში განვიხილავ ყველა გრანტიჭამია ე.წ. პოლიტიკურ პარტიასაც, რომლებიც, გარდა ამისა, წურბელებივით სწოვენ სისხლს ქვეყნის გასაცოდავებულ ბიუჯეტს და მშვიდად აღიქვამენ იმას, რომ საქართველო მთელ მსოფლიოში ბოლოდან პირველ ადგილზეა პენსიის დონის მხრივ. ამითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ შენი ქვეყნის სასიკეთოდ ან, რომ იტყვიან, ლამაზი თვალებისთვის არავინ არანაირ გრანტს ტყუილად არ მოგვცემს.

– არ გეჩვენებათ, რომ ხელისუფლების მიერ პოლიტიკოსთა მოქრთამვის და მათი მეშვეობით მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების ლამის კლასიკურად ქცეული ფორმაა ის, რომ პარლამენტის წევრები, რომლებიც საპარლამენტო საქმიანობაში არანაირად არ მონაწილეობენ, პარლამენტარის ხელფასს და სხვა უამრავ შეღავათს უსირცხვილოდ იდებენ ჯიბეში?

– ესეც „აქოური წესია“! ამის გათვალისწინებით, ძალიან ხმამაღალ, არაკომპეტენტურ ნათქვამად თუ არ ჩამითვლით, ვგონებ, ალბათ, დღის წესრიგში შეიძლება დადგეს ქვეყნის კონსტიტუციასა და შესაბამის კანონმდებლობაში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობა იმ ვარაუდით, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მათ, ანუ პოლიტიკურ პარ-

ტიებს, რომლებმაც სრულად დაკარგეს მოსახლეობის ნდობა და არარაობად იქცნენ, ჩამოერთვათ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მომავალში კი საერთოდ ვთქვათ უარი ე.წ. პროპორციულ არჩევნებზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ წინადაღების რეალიზაცია იმას მაინც მოგვცემს, რომ ახალგაზრდობას დავიცავთ დროის ფუჭად კარგვისა და საკუთარი იაფფასიანი კარიერის იოლად შექმნის ცდუნებისგან. ამით ერთხელ და სამუდამოდ მივივიწყებთ ისეთ, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ მართლაც გულისამრევ გამოთქმებს, როგორებიცაა: „ახალგაზრდა ნაციონალები“, „ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატები“, „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები“ და სხვა. სამაგიეროდ გაჩნდება ახალგაზრდათა დაოსტატების ურთულესი გზით სიარულის მოტივაცია და ახალგაზრდა ოურისტები, ეკონომისტები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ქიმიკოსები და ა.შ. უფრო მეტად წაადგებიან ჩვენ ქვეყანას.

– 2011 წლის დასაწყისიდან მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში ამოტივტივდა ძალზე სერიოზული და რთული პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემები. ზოგან არის მსხვერპლიც... ყველა სიტუაციაში ძირითად დამრტყმელ ძალად ახალგაზრდობა გვევლინება. საქართველოში კი, კარგა ზანა, ახალგაზრდობა მიმდინარე პროცესებისადმი რაღაცნარად ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენს. როგორც ახალგაზრდულ პრობლემებში გარკვეულად ჩახედული (იაკობ გოგებაშვილის მედალი სხვაგვარად არ მოგენიჭებოდათ), ძალიან მოკლედ ხომ ვერ გვეტყვით თქვენს პოზიციას ამ პრობლემასთან დაკავშირებით?

– 2011 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენებისა და უნივერსიტეტის 93-ე წლისთავის დღეს, საქართველოს რადიოს პირველი არხის ჟურნალისტს დილით ადრე ინტერვიუ

ჰქონდა უნივერსიტეტის 10-მდე სტუდენტთან. დასმულ კითხვაზე, ვინ არიან დაკრძალულნი და ვისი ძეგლები დგას უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ მდებარე სკვერში (უნდა ეთქვა პანთეონი), ჩემდა გასაოცრად, ყველა სტუდენტის პასუხი თითქმის ერთნაირი იყო: ალბათ, ერთი ივანე ჯავახიშვილი იქნება, სხვა არ ვიცითო. სწორედ ასეთ შემთხვევაზე აქვს ნათებამი ჩვენს ცოცხალ კლასიკოსს – საით მიდიხარ, საცოდავო საქართველოო!

რაც შეეხება ახალგაზრდობის ინდიფერენტულობას, პირდაპირ გეტყვით, რომ მისი მობილიზაციისა და თავდადების გარეშე მთელი მისი ისტორიის მანძილზე ქვეყანაში არც ერთი სერიოზული პრობლემა არ გადაწყვეტილა და არც მომავალში გადაწყდება. ამ ინდიფერენტიზმის დასაძლევად კი რეალური მოტივაცია, ლიდერისადმი ნდობა, რწმენა და სიყვარულია აუცილებელი!

— ეს კი არც ისე იოლად გადასაწყვეტი საკითხია, რადგან სხვადასხვა ცნობილ გარემოებათა გამო დღეისთვის ქვეყანაში მართლაც არ არის გამოკვეთილი ისეთი ლიდერი, რომელსაც ხალხი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში სიამოვნებით დაუჭრდა მხარს...

— არ არისო, რომ ბრძანებთ, ალბათ, იმას სულაც არ გულისხმობთ, რომ ასეთი პიროვნებები რეალურად მართლაც არ არსებობენ. ხმამაღლა ვამბობ, არსებობენ და, თანაც, არა ერთი და ორი, მაგრამ მათი გამოვლენა, წინა პლანზე წამოწევა, განვლილი გზისა და სამომავლო ამოცანების, გეგმებისა და ხედვების გაანალიზებაა საჭირო.

— მერე როგორ მოვახერხოთ ეს? და, რაც მთავარია, როგორ შევარჩიოთ არჩევნებისთვის ჭეშმარიტი ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული ღირსეული პიროვნება?

— გავრისკავ და ვიტყვი, რომ როცა ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის არჩევნების დრო მოვა, ამ ეტაპზე, როგორც გამონაკლისი, პირველი სიტყვის თქმის უფლება, ანუ ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატის დასახელება ქვეყანაში უნდა მიანდოს ერის სულიერ მამას, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია II-ს, რომლის მიერ შემოთავაზებული კანდიდატებიდან ქვეყნის მომავალ პრეზიდენტს საყოველთაო არჩევნებით დაასახელებს სრულიად საქართველოს მოსახლეობა.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ინიციატივას მოწინააღმდეგებიც ეყოლება და მომხრეებიც. ნაწილი ჩათვლის, რომ უწმინდესის ჩართვა ამ ბინძურ საქმეში არ იქნება გამართლებული. ნაწილი კი — პირიქით. ამის მიუხედავად, თუ ჯიუტობად არ ჩამოვლება, მაინც ჩემს მოსახრებაზე ვრჩები. და აი რატომ: ისტორიულად ასე იყო და ახლაც ასეა, რომ, როცა ნორმალურ ადამიანს ცხოვრებაში რაიმე ურთულესი პრობლემა გაუჩნდება, რჩევას მამას, ხევისბერის, თავის მოძღვარს ან თუნდაც ახლო მეგობარს? კითხავს, ხოლმე.

თითოეულ ჩვენგანს და სრულიად საქართველოს გაგვიმართლა, რომ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სახით, გვყავს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც ჩვენი სულიერი მამაც არის, მოძღვარიც და ხევისბერიც. და, რაკი ფაქტი რეალობაა და ძალიან გვიჭირს, ქვეყნის ურთულესი ჩიხიდან გამოყვანის მიზნით რად არ უნდა ვკითხო მას რჩევა?

ესაუბრა
რუსლან რუსია
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 4 ივნისი 2011 წ.

ნაუიონალებს ხმას არ მიუკეტ!

რატომ? იმიტომ რომ არ იმსახურებენ! აქ სამსჯელო არაფერია! რახან კალაში ხელი მოვერდე, თავს ძალას დავატან და ობიექტურად გეტყვით ჩემს პოზიციას ამ აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებით.

ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უძრავლესობას, როგორც წესი, ჭეშმარიტებად მხოლოდ საკუთარი აზრი ეჩვენება. ამიტომ იშვიათად გვცვდებიან ადამიანები, რომლებიც მთელი სიგრძე-სიგანით აცნობიერებენ უკვდავ ფრთიან ფრაზას – „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ (სოკრატე). ასეთ გენიოსობას ბევრს ვერც მოვთხოვ, მაგრამ საზოგადოებამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს თეთრი და შავი, მაღალი და დაბალი, ჭკვიანი და უჭკუო, ერთს შვილი და ძალის შვილი და ა.შ.

ასეთ პირობებში სასაცილოდ მეჩვენება, როცა პროფესია-დაკარგულ ადამიანთა უმრავლესობას, რადგან ისინი ნაციონალური პარტიის წევრები, ანუ ხელისუფლების ყურმოჭრილი მონები არიან, თავიანთი თავი პროფესიონალ პოლიტიკოსებად მიაჩნიათ. ამიტომ არის, რომ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე აზრის გამოთქმისას, უფრო სწორად, ხალხის დაბოლებისას, ერთი და იგივე ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები და „ექს-პერტები“ გვეჩხირებიან თვალსა და ყურში, ტელევიზორებსა და პრესაში. ნუთუ ამ ათიოდე კაცს მართლა სჯერა, რომ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს თავისი მოსაზრება არა აქვთ ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამა თუ იმ

პრობლემაზე? აქვთ, როგორ არა აქვთ, წიგნებსაც გამოსცემენ, სტატიებსაც აქვეყნებენ თავიანთ წრეებში ყოველგვარი ხმაურის გარეშე, კომპეტენტურ აზრსაც გამოთქვამენ და, სამწუხაროდ ყველაფერი ამით მთავრდება.

ხელისუფლება ამ პრობლემებზე მსჯელობისთვის დროს არ ხარჯავს, ხოლო საზოგადოების დიდ ნაწილს ის არ აინტერესებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათში ნაკლებადაა გამოყენებული მასის ფურადღების ადგილად მისაპყრობი უხამსი გამონათქვამები, დედ-მამის სულის ტრიალი თუ გინება, საზოგადოების შეურაცხმყოფელი ტერმინების ორომტრიალი და სხვ.

როგორც ერთ რიგით ეკონომისტები და პოლიტიკაში ნაკლებად გარკვეულ პიროვნებას მიმართია, რომ დღეს ქვეყანაში უპირველესი მნიშვნელობის მოვლენაა კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც, როგორც ვთქვი, ეწ. ნაცებს მხარს არ დავუჭერ მრავალი ფაქტორის გამო, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია:

— ნაციონალური პარტიის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო, უსინდისო დამოკიდებულება მათი ყოფილი მამა-მარჩენლის ზურაბ უვანიას აშკარა, მაგრამ ჯერჯერობით ბურუსით მოცული მქონელობისადმი და მისი სახელისა და ავტორიტეტის საზოგადოებაში საბოლოოდ გასათახსირებლად ერთი ჭკვიანი აზერბაიჯანელი ბიჭის სიცოცხლის გაწირვა.

— მიშა მაგარიაო წამდაუწუმ რომ გაიძახიან დაქირავებული, მოსყიდული კლაკიორები, საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტზე, იგი მართლაც მაგარი გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, სხვა არავინ მეგულება, ვინც მასავით დააჩიმორებდა პარლამენტს, მთავრობას, ზოგიერთ ეწ. ოპოზიციურ პარტიას, ტელევიზიებს და სხვა ნებისმიერ სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურას;

— პარლამენტმა, ანუ ნაციონალების მორჩილმა უმრავლესო-

ბამ, რამდენიმე კაცის ჭკუაზე ადვილად რომ „მართავს“ ქვეყანაში მიმდინარე ურთულეს ეკონომიკურ პროცესებს, ერთი კაცის ახირებით მიიღო ბევრი ჯერ არნახული და არგაგონილი გადაწყვეტილება. კერძოდ, მისი ძალისხმევით და მხარდაჭერით გაუქმდა ეკონომიკის სამინისტროს ისეთი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა მცირე ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი, ანტიმონოპოლიური სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი, ფასების სახელმწიფო პოლიტიკის სამსახური, ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტი და სხვა, ურომლისოდაც წარმოუგენელია ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის მართვის სტრუქტურების საქმიანობა;

ამ სტრუქტურების მოშლის, ანუ ნაციონალისტთა მიერ მოგონილი ქვეყნის ეკონომიკის „მართვის“, „მეცნიერული მიდგომების“ შედეგებს ქვეყანა კიდევ დიდხანს მოიმკის. საქართველოს მძიმე ტვირთად დაწვება მოსახლეობისთვის სიმინდის ჰიბრიდული ჯიშების „შეტენვის“ ეპოქა; თბილისის აეროპორტში გაყვანილი რკინიგზის „ჩქაროსნული“ მაგისტრალით, ყოველდღიურად „გადაყვანილი“ „ათასობით“ მგზავრი; ქალაქ ლაზიკას მშენებლობის იდეის უაზრობა და იქნებ გამიზნული ბოროტებაც კი; ტელეეკრანების მეშვეობით „დასაქმებული“ ასი ათასობით უმუშევარი და სხვ.

ამჯერად შეგნებულად ავუარე გვერდი (იგი ცალკე სპეციალური განსჯის საგანია“ უკევ დაკარგულ ტერიტორიებსა და მომავალში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, მეზობელი ქვეყნების ვერაგული პოლიტიკის შედეგად, თავიანთი ავტონომიური წარმონაქმნების ჩამოყალიბების მოსალოდნელ შედეგებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა, ნაციონალების ფესვების ამოძირების პარალელურად მოგვარდება.

– ნაციონალებს თუ დასცალდათ, მალე 21 წლის გოგო-ბიჭები გვეყოლებიან პარლამენტში, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ ქვეყნის ბედ-იღბალი!!! ბოლიშს მოვიხდი ჩემი ქვეყნის ღირსეული მომავალი თაობის წინაშე, მაგრამ ქვეყნის პარლამენტის მიერ პრობლემისადმი ამგვარ დამოკიდებულებას, უპასუხისმგებლობის გარდა, სხვა სიტყვა ვერ გამოვუძებნე;

– არ მინდა ვინმემ ჩამითვალოს, რომ ნაციონალის ჯინი მჭირს, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ: საქართველოს პარლამენტის წევრების უმრავლესობა, 4-5 ოპოზიციონერის გარდა არაფრის გამკეთებლი არ არის, უფრო მეტიც, მათ ბრალს ვდებ, ქართული საქმეების დაუძინებელ მტრობაში. უსაგნო ბრალდება რომ არ გამომივიდეს, ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ მათს დამოკიდებულებაზე ქართული ენის გადარჩენის პრობლემისადმი. ბოლო ორი წლის განმავლობაში პრესაში ორჯერ გამოვაქვეყნე ლია წერილები, რომელთა ადრესატი, ორივე შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იყო. მან ორივე წერილი, ყოველგვარი კონკრეტული დავალების გარეშე, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს გოკა გაბაშვილს გადაუმისამართა. ამ უკანასკნელმა, ასევე რაიმე დავალების გარეშე, ეს წერილები თავის მოადგილეს ხათუნა ოჩიაურს დააწერა და ამით თავიანთი მისია შესრულებულად ჩათვალეს.

შეიძლება მქითხველმა იფიქროს, რომ ამ წერილებით რაღაც არარეალურ, შესასრულებლად რთულ პრობლემას ვუყენებდი საკანონმდებლო ხელისუფლებას. სრულიადაც არა, უბრალოდ, მხოლოდ და მხოლოდ, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის აღსრულებას ვითხოვდი;

– ძალიან მაინტერესებს, როგორ გაამართლებენ თავიანთ ქმედებას თუნდაც საკუთარი ოჯახის წევრების ან უახლოესი მეგობრების წინაშე ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი, რეგიონალური აქტივისტები, როცა ამა თუ იმ ქალაქში, რაიონ-

ში, სოფელში ჩასულ თავიანთ მამა-მარჩენალს სახელდახელო კონცერტებს, შოუებს უწყობენ და მოსახლეობას აბლავლებენ „შენ გენაცვალე“, „შენი ჭირიმე“ და ა.შ;

— ყბადაღებული ახალი საავადმყოფოების გახსნასა და ჯან-დაცვის ხელმისაწვდომობაზე რომ გვაბოლებენ ნაციონალური პარტიის ლიდერები, მაინტერესებს, თუ იციან, რომ ადამიანის ორგანიზმიდან ფიზიოლოგიურად გამოყოფილი სითხის (კოლ-მეურნეობის თავმჯდომარის გვარისა არ იყოს, პირდაპირ არც ამ სითხის „სახელსა და გვარს“ დავასახელებ) ანალიზის ფასი გაკის ერთ-ერთ ლაბორატორიაში 110 ლარი ღირს;

— აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს დაღუპული გმირების სახელების უკვდავყოფის მიზნით, გადაგწყვიტე, გაზეთ „თანადგომის“ პერსონალური ნომერი მიმედვნა თითოეული მათგანისთვის. აღნიშნულის თაობაზე სათანადო პროექტი გასაცნობად გადავუგზავნე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს რუსუდან კერგალიშვილს და თავდაცვის მინისტრს ბაჩო ახალაიას. მრავალი მცდელობა მათ შორის მათი მისამართით პრესაში გამოქვეყნებული ღია წერილებიც ყოვლად უშედეგოდ დასრულდა და არა თუ წერილობითი, სიტყვიერი ჰასუხებიც ვერ მივიღე. არადა, რას ვთხოულობდი, არ იკითხავთ? მხოლოდ იმას, რომ დამხმარებოდნენ დაღუპულთა სიების დადგენაში და მათი ოჯახების მისამართების მოპოვებაში! იმისი შეფასება, თუ რა ჰქვია ნაციონალების ლიდერთა ასეთ ქცევას, მკითხველისათვის მიმინდვია;

პირადი ამბიციების ან შეხედულებების სხვებისთვის თავს მოხვევა არ მჩვევა, რასაც დაადასტურებს უამრავი ჩემი სტუდენტი, თანამშრომელი, ახლობელი, ალბათ, ერთდროულად, ის 60 ათასი კაციც, რომლებიც წლების განმავლობაში ჩემი უშუალო დაქვემდებარების სამსახურებში საქმიანობდნენ. აქედან გამომდინარე, უფლებას ვიტოვებ, მომავალი საპარლამენტო

არჩევნებისთვის არც არავის ვურჩიო და არც არავის ვთხოვო (მ.შ. საკუთარი ოჯახის წევრებსაც კი) ვინმესთვის თავისი ხმის მიცემა.

პირადად მე კი, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ნაციონალებს საპარლამენტო არჩევნებში ხმას არ მივცემ!

აზროვნ პაპულადია

რედაქციისგან: რიგითი ეკონომისტი ვარო, უპრეტენზიოდ კი ამბობს ბატონი ანზორ ბაბუქაძია, მაგრამ უწინარესად, სწორედ ამის გათვალისწინებით, გვინდა მკითხველს შევახსენოთ, რომ მან განვლო გზა რიგითი ეკონომისტიდან, საქართველოს მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩევლამდე. არის საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი. ავტორია ისეთი გახმაურებული სტატიებისა, როგორებიცაა: „სამჯერ წავიტეხეთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ რიგიანი პარლამენტი“; „შეცდომები, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დაანგრია და დღესაც ანგრევს“; „ცრუ ხელისუფალთა ცრუ საქმეები“; „ვიაზროვნოთ, მოუხდავად იმისა, რომ ეს ხელისუფლებას არ მოსწონს“. „ქართველი ძლიერია უფრსკულის პირას მიყენებული“; „საზოგადოებრივი ტელევიზია საკუთარ საზოგადოებას დასცინს“; „პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები – პოლიტიკოსობას“; „რასაც ეს მთავრობა აკეთებს, ეს არის ქვეყნის და ხალხის დაღლატი“. ავტორია ნაშრომთა 5-ნაწილიანი დამოუკიდებელი კრებულისა „შეცდომა თუ დანაშაული?“ არის გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი. დაჯილდოებულია „ლირსების ორდენით“, იაკობ გოგებაშვილის მედლით, საქართველოს უურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის დიპლომით.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 19 აპრილი 2012 წ.

ვაი ასეთსა ყოფასა!

სანამ შევიტნებთ, ჩოდ ჩვენი
ბერი ჩვენსაც ხელთაა!

ისევ ამ ყბადაღებული არჩევნების თაობაზე

ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ უმწვა-
ვეს პრობლემასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრე-
ბების ჩამოყალიბება ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ,
ალბათ გარკვეულმა განსჯის უნარმა და მოქალაქეობ-
რივმა პოზიციამაც გამაბედვინა. არ გამოვრიცხავ, რომ
ზოგიერთი მათგანი ჩემს მომავალ ოპონენტებთან სერი-
ოზული დაპირისპირების თემად იქცეს.

არჩევნების მოქმედი სისტემით, მისდამი ხელისუფლებისა და
ხალხის დამოკიდებულებით ჩვენ „ეგროპელები“ კი არა, სადღაც
ჯურლმულში ჩარჩენილი ხალხი, ქვეყანა ვართ. დღეს ბევრ
თავმოყვარე ქართველს სამარცხვინოდ მიაჩნია ისეთი ქვეყნის
მოქალაქეობა, სადაც არჩევნების გაყალბება და მასზე საუბა-
რი ჩვეულებრივი მოვლენაა; სადაც წინასაარჩევნო პერიოდში
ამომრჩეველს რაც მოუწდებათ იმას ჰპირდებიან, მისი შეუს-
რულებლობისთვის კი არავის წინაშე პასუხს არ აგებენ; სა-
დაც ამომრჩეველს, გადმობირების მიზნით, მათხოვრულ ქრომს
ურიგებენ და უაზრო ტყუილებით აბოლებენ; სადაც ადამიანს,
უპირველესს და, ალბათ, ერთადერთს – არჩევანის უფლებას
ართმევენ და მის ხმას თავისი შეხედულებისა და სურვილის
მიხედვით ისე იყენებენ, როგორც აწყობთ; სადაც ჯერ კიდევ არ

ესმით, რომ ამ დღეში ყოფნა, ჩვენივე ბრალია; სადაც არ აცნობიერებენ, რომ არჩევნებისადმი დღევანდელი მიღომის შენარჩუნების პირობებში, საქართველო უფსკრულში გადაიჩება და 21 წლის პარლამენტარები ვეღარ უშველიან; სადაც არ სჯერათ, რომ ყველა უბედურება, რაც შეიძლება თავს დაგვატყდეს, ჩვენივე, ანუ ხალხის ბრალია, რომელშიც ლომის წილი ე.წ. არჩევნების ჩამტარებლებზე მოდის; სადაც არ აცნობიერებენ, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა!

ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის წარმომადგენლები დამიდასტურებენ, რომ ეს პრობლემები არახალია. საბჭოთა კავშირის პერიოდში, მთელ მის სივრცეში და, მათ შორის, საქართველო-შიც, არჩევნები საერთოდ არ ტარდებოდა. იგი იყო დადგმული სპექტაკლი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და მნიშვნელობით. ვითომ ჩვენ ვირჩევდით სადღაც, შესაბამისი დონის კაბინეტებში უკვე არჩეულ კანდიდატებს; ასარჩევი არავინ იყო და ამიტომ ბიულეტენებში შეტანილი ერთადერთი კანდიდატი იმარჯვებდა ხმათა 90-99 პროცენტით. ასეთი ყალბი არჩევნებისადმი ხალხის მასის მოჩვენებითი მხარდაჭერის საილუსტრაციოდ, საარჩევნო უბნებზე კონცერტები და ცეკვა-თამაში იმართებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ევროპული მენტალიტეტის რამდენიმე რესპუბლიკამ მალე დაივიწყა ეს მანინჯი გადმონაშთი, ხოლო უმრავლესობამ და, მათ შორის, საქართველომ, კიდევ უფრო განავითარა ე.წ. არჩევნების საბჭოური ფორმები და ამიტომაც ვართ ამ დღეში, ამიტომაც გვჭირს ის, რაც გვჭირს!

მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორების აუცილებლობის მიუხედავად, ამომრჩეველთა „დარიგებებისგან“ თავს შეგნებულად შევიკავებ ორი მიზეზის გამო. ერთი ის, რომ მათ არ ვაკადრებ ვურჩიო ან ჭკუა დავარიგო როგორ მოიქცნენ. მეორე – დღეს საქართველოში არავითარი აზრი არა აქვს რეალურად დაფიქსირებულ შედეგებს, რადგან, დიდად სამწუხაროდ, ხმების

გამყალბებლები მაინც თავიანთი სასურველი შედეგის გამოცხა-
დებას შეეცდებიან.

ასეთ პირობებში ბუნებრივად დაისმება კითხვა, — რა ქნას
ამომრჩეველმა, წავიდეს თუ არა არჩევნებზე? პასუხი ნათელი
და ერთმნიშვნელოვანია: **თუ ქვეყნის მომავალზე გული შევ-
გტკივა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, ვისაც უფლება
გვაქვს, ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა!**

დასასრულ, გავრისკავ და რამდენიმე მოსაზრებასაც გაგიზი-
არებთ.

სულ რამდენიმე თვეში ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა
ძალამ, სასურველია და, ალბათ, აუცილებელიც, დღის წესრიგ-
ში დააყენოს ქვეყნის კონსტიტუციაში და შესაბამის კანონმ-
დებლობაში რადიკალური ცვლილებების შეტანა იმ ვარაუდით,
რომ შემდგომ საპარლამენტო არჩევნებში, ე.წ. პოლიტიკურ
პარტიებს, რომლებმაც სრულად დაკარგეს მოსახლეობის ნდობა
და არარაობებად იქცნენ, დროებით, ანუ ვიღრე ჩვენ ევროპე-
ლები გავხდებით და არ დავივიწყებთ არჩევნების გაყალბების
თემას, მაქსიმალურად შეეზღუდოთ საპარლამენტო არჩევნებში
მონაწილეობის საშუალება და ამით გარკვეული წნით, პრაქტი-
კულად, უარი ვთქვათ, ე.წ. პროპორციულ არჩევნებზე. ყველა-
ფერს რომ თავი დავანებოთ, ამ წინადაღების რეალიზაცია იმას
მაინც მოგცემს, რომ ახალგაზრდობას ჩამოვაცილებთ დროის
ფუჭად ხარჯვისა და საკუთარი იაფფასიანი კარიერის იოლად
შექმნის ცდუნებისგან.

ასეთ შემთხვევაში, უნდათ თუ არა, ე.წ. პოლიტიკოსები უკანა
პლანზე გადაიწევენ და გაძლიერდება მომთხოვნელობა და პასუ-
ხისმგებლობა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემისადმი და ამომრ-
ჩეველი, კიდაცის მიერ სხვადასხვა მაქინაციებით და შავი ინტერე-
სებით შედგენილ სიაში შეტანილი კიდაციერისტის ნაცვლად,
მხარს დაუჭრს თავის თემში, სოფელში, რაიონში, ქალაქში გა-

მორჩეულ პიროვნებას, ვისზეც არსებობს ოუალური დაღებითი საზოგადოებრივი აზრი, ვინც უკვე საქმით დაამტკიცა ეროვნული ცნობიერებისადმი ერთგულება და ვისაც სერიოზული ვალდებულებები აქვს საკუთარი ამომრჩევლისა და მთლიანად ქვეყნისადმი.

არჩევნებისადმი ხელისუფლების დღევანდელი დამოკიდებულების პირობებში, წინასაარჩევნო პერიოდში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა პოლიტიკურ პარტიათა ან ცალკეული პიროვნებების რეიტინგის „დადგენის“ მიზნით, მივაჩნია ყოვლად გაუმართლებლად, რადგან ის, როგორც წესი, ტარდება რომელიდაც დაინტერესებული მხარის ძალისხმევით და მიმართულია ამომრჩეველთა დეზორიენტაციისაკენ.

პოლიტიკური ასპარეზებიდან, ანუ ქვეყნის მართვის სადაცებიდან ე.წ. პოლიტიკოსთა ჩანაცვლების ჩვენეულ ვარიანტს ბევრი არარეალურად ჩაგვითვლის, მაგრამ ამ უკურნებელი სენისგან გათავისუფლების სხვა გზა აღარ ჩანს. წამლებით მკურნალობა დაგვიანებულია და „ავადმყოფს“ გეღარ გუშველით. საჭიროა რაღიკალური ქირურგიული ჩარევა, რაც სარისკოა, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელი.

ანთიმოზ ოკრიბელი*

რედაქციისგან: პრობლემის აქტუალობისა და წერილის ავტორის ზოგიერთი საგულისხმო მოსაზრების გათვალისწინებით, მზად ვართ, ამ საკითხთან დაკავშირებით გავაგრძელოთ სათანადო დისკუსია.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 23 მაისი, 2012 წ.

* ბაბუაჩემის, ანთიმოზ ბაბუხალიასადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, ჩემი თანაკლასელები და ახლობლები, ბავშვობაში ანთიმოზს მებაზდნენ. ოქრიბა კი ჩემი გვარის წარმოშობის მხარეა, რომელსაც განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიაში.

ლადასტურებული, უტეუარით ფაქტები საბოროლებო დასკვნისთვის

ვესაუბრებით ცნობილ პუბლიცისტს, საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს, გაზეთ „თანადგომა“-ს რედაქტორ-გამომცემელს, იყობ გოგებაშვილის მედლის მფლობელს ანზორ ბაბუხაძიას. იგი ავტორია ქართული ენის გადარჩენისადმი მიძღვნილი გახმაურებული სტატიებისა; „ოღონდ ქართულად ვიღაპარაკოთ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 28. 09. 07), „ენა გადავარჩინოთ ქართული ენა“ („საერთო გაზეთი“, 08.0409), „ვაითუ, ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს...“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 14.01.2010), „ენა გადავარჩინოთ ქართველებო!“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19. 10. 10), „ქართული ენის გადარჩენა ხელისუფლების სერიოზული საფიქრალი უნდა იყოს!“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 14. 04. 11) და სხვ.

– ბატონო ანზორ, პირდაპირ თუ ვიტყვით, თქვენს სტატიებში ფარდა აქვს ახდილი ხელისუფლების ყველა შტოს უმოქმედობას, დაწყებული პარლამენტიდან, დამთავრებული აღმასრულებელი ხელისუფლების ყველაზე დაბალი რანგის ჩინოვნიკამდე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადგილი აქვს მათ დანაშაულებრივ წაყრუებას და პრობლემის ფეხზე დაკიდების უტყუარ ფაქტებს.

– დიახ, დავიწყებ იმით, რომ აღნიშნული პუბლიკაციები, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია იმ წერილებთან შედარებით,

რომლებსაც სისტემატიურად და მაღალ პროფესიულ დონეზე აქვეყნებენ ქართული ენის თვალსაჩინო, თავგადაკლული სპეციალისტები. ვინმე რომ არ გამოგვრჩეს, შეგნებულად არავის გვარს არ ვასახელებ. ახლა კი გადავალ მთავარ სათქმელზე. პრაქტიკულად, ჩემი სათქმელი თქვენ უკვე ბრძანეთ, მაგრამ შევეცდები თქვენი პოპულარული გაზეთის მკითხველი უფრო დეტალურად ჩავაყენოთ საქმის კურსში. აღნიშნულ სტატიებში და ჩემს ნაშრომთა ციკლის „შეცდომა თუ დანაშაული?!”-ის მე-5 ნაწილში, პრაქტიკულად, ქართული ენის გადარჩენის ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე და მათი გადაწყვეტის კონკრეტულ გზებზე საუბარი, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში, ხელისუფლების მხრიდან, არავითარი რეალური ნაბიჯი არ გადგმულა საქმის სასიკეთოდ.

— როგორც თქვენი პუბლიკაციებიდან ჩანს, 2010 წლის 16 ოქტომბერს, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბეთ „დედა ენის საზოგადოების“ კომისიის წევრები და ერთხმად მიიღეთ „დედაენის დაცვის მანიფესტი“, სადაც წერია:

„გლობალიზაციის ხანაში ქართული ენა დადგა დამახინჯების, გადაგვარების, დაკინინებისა და განადგურების საფრთხის წინაშე. იგი წალეკა ბარბარიზმებმა, კალკამ, მიბაძვამ და ასევე სინტაქსურმა სიმახინჯეებმაც. ენა ერის ბურჯია და შველას საჭიროებს.

დადგა დრო, რომ ამოქმედდეს ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგად ეროვნული დაწესებულება, რომელიც იზრუნებს ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად.

მან უნდა მოიზიდოს ქართული ენის სპეციალისტები (ენათ-მეცნიერები, ფილოლოგები), რომლებიც შეიძუშავებენ ქართუ-

ლი ენის გადარჩენისა და შემდგომი განვითარების კონცეფციას; შექმნიან და მუშაობაში ხელს შეუწყობენ სხვადასხვა მიმართულებით სათანადო ლექსიკისა თუ ტერმინოლოგიის დარგობლივ კვლევით ცენტრებს, გააღრმავებენ ქართული ენისა და სწორი მეტყველების საჯარო პროპაგანდას ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის მეშვეობით, სათანადო დარგობრივი ლექსიკონების, სახელმძღვანელოების, სამახსოვრო ბუკლეტებისა და სხვა თვალსაჩინო მასალის გამოქვეყნება – გავრცელების გზით.

მან ხელი უნდა შეუწყოს საგანგებოდ დაფინანსებული პროგრამების ხორცების ხმას ქართული ენის მასწავლებლების მომზადება – გადამზადების მიზნით.

სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ხანგრძლივებიანი კომპლექსური გეგმა სახელმწიფო დონეზე, რათა დროულად გამოვთხიზოდეთ და დავიცვათ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა.

გადაგარჩინოთ ენა და ენა გადაგვარჩენს ჩვენ“.

– კი ბატონო, მანითესტი მივიღეთ, მაგრამ რად გინდა, „კრება დარჩა მხიარული“. უფრო მეტსაც გეტყვით. ჩემს გარდა, „დედაენის კომისიის“ წევრები ბრძანდებიან ისეთი ცნობილი პიროვნებები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც არიან (ჩამოვთვლი ტიტულების გარეშე, რისთვისაც მათ ბოდიშს ვუხდი) ბატონები: ზაზა გაჩეჩილაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, რისმარგ გორდეზიანი, ვახტანგ როდონაია, გია ნიუარაძე, მანანა დუმბაძე, ლევან ჩიქვანაია, თამაზ ებანოიძე, ლევან ლვინჯილია, მანანა გიგინეიშვილი და სხვ. დარწმუნებული ვიყავი, რომ კომისიის ასეთი პერსონალური შემადგენლობა „მთას ძვრას უზამდა“, მაგრამ მოვტყუვდი. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შევკრებილვართ, არ გვიმსჯელია, ჩვენი წინადაღებები და პროგრამები არ შეგვიჯერებია...

– რატომ?

— იმიტომ, რომ კომისიის ცალკეული წევრები დაკავებული არიან პირადი პრობლემებით და ამ „უბრალო“ საქმისათვის ვერ მოიცალეს. დიახ, ვერ მოიცალეს! ამ ხნის განმავლობაში, ზოგიერთი, უმაღლესი დონის სახელმწიფო ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებით ან თბილი კაბინეტის შენარჩუნებაზე ზრუნვით იყო დაკავებული; ზოგიერთი, ხელისუფლებას თვალში არ ეჩირება თავიანთი შვილებისათვის მყუდრო გარემოს შენარჩუნების მიზეზით; ზოგი სერიოზული საქმეებით დაკავებულობის გამო ვერ იცლის ამ „უმაღური“ საქმისათვის; ზოგი კი, ჩემი არ იყოს, ხლაფორთობს და იქნევს დაჩლუნგებულ და ყავლგასულ ხმალს და ა.შ. შედეგს კი ყველა ვხედავთ.

2011 წლის 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით ღია წერილი გავუგზავნე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატ. დავით ბაქრაძეს, რომელშიც ამ პრობლემის მთელ ისტორიას მოვუყარე თავი. ჩამოვაყალიბე კონკრეტული წინადაღებები, რომლებიც ითხოვნო ოპერატიულ გადაწყვეტას და ა.შ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ფუჭი გამოდგა ჩვენი მცდელობა.

— რაიმე სახის რეაგირება მოჰყვა ამ ღია წერილს?

— საქმეც ეს არის. არავითარი რეაგირება, არავითარი დაინტერესება, არავითარი უხერხულობის გრძნობა. უფრო მეტიც, ჩემი წერილი პარლამენტის თავმჯდომარემ ყოველგვარი კონკრეტული დავალების გარეშე გადაუმისამართა პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს გოკა გაბაშვილს. ამ უკანასკნელმა ეს წერილი ასევე არაფრისმოქმედი რეზოლუციით დააწერა თავის მოადგილეს ქალბატონ ხათუნა ოჩიაურს. დიდი მცდელობის შედეგად, როგორც იქნა ოფიციალურ მიღებაზე ვეახლე მას და კარგა ხანს ვისაუბრეთ აღნიშნული პრობლემის

თაობაზე. ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, ხათუნა ოჩიაური დამპირდა, რომ გარკვეულ ღონისძიებებს გაატარებდა და შედეგს მაცნობებდა. დაპირება არარეალური რომ იყო, თავიდანვე ვიგრძენი, რადგან ყოველმხრივ მიმტკიცებდა, ქვეყანას და პარლამენტს უფრო სერიოზული პრობლემები აქვს გადასაწყვეტი და ამისათვის, ალბათ, ვერ მოვიცლითო. ისე აგიხდათ ყოველივე კარგი. არც მოიცალეს და დღემდე არც არანაირი პასუხი არ გამოუგზავნიათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარეს შეხსენების წერილიც გავუგზავნე, რომელიც ასე დავამთავრე: „ბაჭონო დავით, რა ხდება? გაებუტეთ ქართულენას თუ უბრალოდ ვერ იცლით მისთვის?!” თითქმის წელიწადი გავიდა და არც ამ წერილზე გამოუგზავნიათ პასუხი.

— ვერ მოვისვენებ, ვიღონ არ გკითხავთ. მაინც რას ითხოვდით ასეთ უსაშველოს?

— დროულად შევატყვე, რომ ჩვენი ხელისუფლება დედაენის გადარჩენის ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს არ მიხედავდა და ამიტომ იძულებული გავხდი, ბოლოს და ბოლოს ჩვენი მოთხოვნა მინიმუმადე შემეტცირებინა და მხოლოდ ასეთი ფორმით ჩამომეყალიბებინა:

„პრობლემა კომპლექსურია და ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით ყველაფერი არ მოგვარდება. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ პრობლემის მკვდარი წერტილიდან დაძვრის პირველი ეტაპის კონკრეტულ წინადადებას: საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონი ან სათანადო ჩასწორება კანონში „რეკლამის შესახებ“, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად, გარკვევით ჩაიწერება, რომ ვაჭრობისა და მომსახურების ნებისმიერ ობიექტს, აგრეთვე წარმოება — დაწესებულებებს, საკუთრების ფორმების მიუხედავად, სარეკლამო აბრები, წარწერები, სახელწოდებები და მათი დანიშნულების გამომხატველი ნებისმიერი მინიშნება,

როგორც წესი, გაუკეთდეს ქართულ ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ, შედარებით მცირე ზომებით, რომელიმე უცხო ენაზე.

სასურველია, პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების, აგრეთვე დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა შესაბამის სტრუქტურებთან ერთად მოაზადონ სათანადო კანონპროექტი და არსებული რეგლამენტის შესაბამისად, მისცენ მას მსვლელობა“.

— თქვენი მოთხოვნა რეაგირების გარეშე რომ დატოვეს, დღევანდელი ხელისუფლების გადამკიდე, გასაკვირი არ არის, მაგრამ გვეჩვენება, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, მით უმეტეს, რომ ხელისუფლება, ხშირად არღვევს კანონს. ამას სხვა თუ არაფერი, განუკითხაობა ქვია. ამ შემთხვევაშიც ანალიგიურ დამოკიდებულებასთან ხომ არ გვაქს საქმე? თუ იზიარებთ ჩვენს პოზიციას, მაშინ იქნება კონკრეტული ბრალდებაც ჩამოაყალიბოთ.

— საყოველთაოდ მიღებული წესია, რომ კანონს, ბრძანებას, განკარგულებას ვინც გამოსცემს, ჯეროვანი კონტროლიც მან უნდა დააწესოს მის შესრულებაზე. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, არასათანადო უფრადლების გამო, პრაქტიკულად, არ სრულდება. თავს უფლებას ვაძლევ და შეგახსენებოთ ამ კანონის ზოგიერთ პუნქტს, რომელთა შესრულებაზე სათანადო კონტროლის არარსებობის გამო, რთულად გამოსასწორებელი პრობლემები შეექმნა მშობლიურ ენას. აი, ზოგიერთი მათგანიც:

„რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე“ (მუხლი 4. პ. 2)

„უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში)... არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას“ (მუხლი 4, პ. 3);

„ორენოვანი მანათობელი წარწერების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა „ქართულიც და უცხოურიც“ იფოს ერთნაირად განათებული და კითხვადი „(მუხლი 4, პ. 4);

დამეთანხმებით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პუნქტი საქართველოში ძალიან ხშირადაა დარღვეული;

კანონის მე-4 თავი (პუნქტი 17), რომელიც ეძღვნება სახელმწიფო კონტროლს რეკლამის სფეროში, ნათლადაა ჩაწერილი, რომ: „ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ახორციელებს... რეკლამის კანონმდებლობის შესრულების სახელმწიფო კონტროლს; იღებს გადაწყვეტილებას არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შესრულებასა და კონტროლადამის განხორციელებაზე; უფლება აქვს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს, კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი; უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღმვრის თაობაზე; რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიკური აგენტების მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნებით“.

უფრო მეტიც, განხილული კანონის მე-6 მუხლით, რომელიც გარე რეკლამის რეგულირებას ეხება, მკაფიოდაა ჩაწერილი, რომ „ამ მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები“. არ მესმის, რა უნდა ჩაეწერა კანონპროექტის ავტორს კიდევ, რომ ზემოაღნიშნული კანონის ეს პუნქტები მკვდრადშობილი არ ყოფილიყო?!

პრობლემისადმი კანონის ამგვარი დამოკიდებულების პირო-

ბებში, სერიოზული მცდელობის მიუხედავად, ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის არც ერთი ორგანოს წლიურ ანგარიშში არ აღმოჩნდა არც ერთი ფაქტი, რომ სათანადოდ აკონტროლებენ და იცავენ ზემოაღნიშნული კანონის ძირითად მოთხოვნებს!

— ჩემი აზრით, იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს ამ წერილში ჩამოთვლილი საქართველოს კანონის დამრღვევთა მოქმედებებს და უნდა დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

— ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირთათვის დამატებითი, კონკრეტული ფაქტების მიწოდებაზე ვალდებულებას ჩვენს თავზე ვიღებთ, განაცხადა ანზორ ბაბუხალიამ.

ესაუბრა
ანა ვალეაზვარია
„საერთო გაზეთი“. 11-17 იანვარი, 2012 წ.

„ქაჯი“ მოდიან „და მრავლებიან...“

ქაჯები მოდიანო, რამდენიმე წლის წინ გაგვაფრთხილა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა. გამართლდა მისი წინათგრძნობა, ქაჯები მოვიდნენ და რაც ძალზე სავალალოა, გამრავლდნენ კიდეც!

ქართული ენის ლექსიკონში, სიტყვა „ქაჯი“ განმარტებულია, როგორც: ავსული, ეშმაკი, კუდიანი, მაცდური, თავზე ხელაღებული და დამთხვეული ადამიანი.

თანამედროვე გაგებით, ქაჯი ანუ ქაჯური ქცევა კიდევ უფრო მძიმე სიტუაციას გამოხატავს, რომელსაც ჩვენი არაკომპეტენტურობის გამო სხვა უფრო გასაგები ან ზუსტი სინონიმი ვერ მივუსადაგეთ. მიუხედავად ამისა, შევეცდებით ე.წ. ქაჯობა და ქაჯობის გამომხატველი ქცევები კონკრეტულ და რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით ავხსნათ, რაც, იმედია, ადვილად გასაგებს გახდის ქაჯობის ფენომენის ნიუანსებს.

დღევანდელი პარლამენტის წევრების უმრავლესობის დამოკიდებულებას ქართული ენის პრობლემებისადმი, ქაჯობის მეტს ვერაფერს დავარქმევთ. რამდენი წერილი იწერება და რამდენი სტატია ქვეყნდება ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც იტყვიან, შეაყარე კედელს ცერცვი. პრობლემა კომპლექსურია და მისი მკვდარი წერტილიდან დაძვრას ქართული სისხლი ჭირდება.

ქაჯობის გამოხატულების ერთ-ერთ მთავარ ქმედებად მიგვაჩნია ხელისუფლების მიერ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის დაბოლება მრავალ საკითხში. სხვა რა შეიძლება დავარქვათ ისეთ ასურდებს, როგორებიცაა: „ბათუმი ყველაზე ნაკლებნალექიანი ქალაქია შავი ზღვის აკვატორიაში“, „ბათუმის პლაჟი გაცილებით უფრო კეთილმოწყობილია, ვიდრე ნიცის, კანის, მონტე-კარლოსი, ბარსელონას და ა.შ“, „სამ ოთხ წელიწადში ავაშენებთ ქალაქ ლაზიკას, სადაც ნახევარი მილიონი მოსახლე

იქნება“ და მრავალი სხვა. ბუნებრივია, ასეთი უგუნურობები კომენტარს არ საჭიროებენ.

ზელისუფლება ქაჯური უტიფრობით გვიმტკიცებს, რომ საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში ბიზნესის წარმოების სიმარტივით და საიმედობით. ასეთ პირობებში რა ღმერთი გაუწყრათ უცხოელ ინგესტორებს, რომ თუნდაც თბილისის ცენტრში მუქთად შეძენილი მიწის ნაკვეთებისა და შენობების პირობებში ასოლუტურად ყველა დაწყებული სასტუმროს მშენებლობა დაკონსერვებული რომ არის?

ზელისუფლებას ჯერ არ ნახულ და გაგონილ ქაჯობად უნდა ჩაეთვალოს თავისი ქვეყნის მოსახლეობისთვის საინფორმაციო საშუალებების შეზღუდვის ყოველგვარი მცდელობა და ნადირობა თევზებზე. ამ მიმართებით მართლაც რომ პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში.

ქაჯობის დამადასტურებელ ფაქტებს რა გამოლევს, მაგრამ იმედია, შემოღომაზე, ზელისუფლების შეცვლის შემდეგ, მოსახლეობის უკიდევანო დაბოლება და აბუჩად აგდება შეწყდება, მაგრამ თავად ჩვენი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის ქაჯობას, ალბათ, კარგა ხანს არაფერი ეშველება. სამწუხაროდ, დიდი მტკიცება არ უნდა, რომ ამ მიმართებით, ანუ ჩვენი მხრიდან, ქაჯობის გამოვლინების ხარისხი წლიდან წლამდე მატულობს. არადა, საკითხავი და დასაფიქრებელი ის არის, რომ თუნდაც ჩემს მახსოვრობაში, ანუ დაახლოებით 50 წლის წინ სულ სხვა ქვეყნაში ვცხოვრობდით. მარტო იმის გახსენება რად ღირს, როგორი დამოკიდებულება და მოწიწება არსებობდა უმცროს-უფროსს შორის, მოსაწავლება და მასწავლებელს შორის, სკოლის დირექტორი ხომ ყველა ჩვენგანისათვის უპირველეს საპატივცემულო პიროვნებას წარმოადგენდა. მიზეზები, რამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა, მრავალფეროვანია, რომელიც ამჯერად ჩვენი განსჯის საგანს არ წარმოადგენს და ამიტომ

ყველასთან ბოდიშის მოხდით, კვლავ გავაგრძელებ, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ქაჯებისა და ქაჯობის (ხშირად თავზედობის) ინსტიტუტის ფარდის ახდას.

პქვია თუ არა **ქაჯობა** ისეთ ქცევას, როცა სკოლის მასწავლებელი თავის მოსწავლეს სიგარეტს მოსთხოვს და „მაგარი ტიპის“ სახელის მოსახვეჭად მასთან ერთად გააბოლებს?

ქაჯობად მიმართა საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან ხალხის თავშეყრის ადგილებში (მ.შ. პანაშვილებზე, გასვენებებში) გამორჩეულად ხმამაღლა საუბარი სხვისთვის უინტერესო თემებზე.

ქაჯობის მეტი რა შეიძლება დაერქვას იმ შემთხვევას, როცა თოთო ბაგშვით, მგზავრი მანქანაში მძღოლის გვერდით დასკუპდება და თანაც სიგარეტს გააბოლებს. საინტერსოა, როდის შემოვიდა მოდაში ქაჯების მიერ ტაქსში ან საერთოდ მსუბუქ მანქანაში ჩაჯდომისთანავე სიგარეტის მოკიდება, ასეთი ქცევაც ცივილურ ქვეყნებში აბსურდად ითვლება, გვახსოვდეს, რომ ჩვენც „ევროპელები ვართ“.

ქაჯობაზე მეტია საოჯახო ნარჩენების, ნაგავის, სიგარეტის ნამწვავის სახლის ფანჯრიდან, აივნიდან გადაგდება ან სადარბაზოში დაყრა.

ქაჯობა არ არის, როცა სკვერებში ან პარკებში, ახალგაზრდობა საბაღე სკამების საზურგებზე არიან შემოსკუპებულნი, ფეხებით დასაჯდომზე ასულები იქაურობას მიზანმიმართულად რომ ანადგურებენ და ანაგვიანებენ?

ქაჯობის ყველა ნორმას სცილდება, როცა ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილის მეტყველებაში მასობრივი ხასიათი მიიღო თავიანთი დედების წამდაუწუმ დაგინების ამაზრზენმა გამონათქვამებმა და ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების ყოველი სიტყვის შემდეგ, აბსოლუტურად უადგილოდ ხმარებამ. ჩვენი თაობა დედას სხვას ვაგინებდით და ისიც ძალზე იშვიათად, ეს მამაცხონებულები და დედაარღნიანები, თავიანთ დედებს თავად-ვე უსწორებენ ანგარიშს.

ზემოთ ნათქვამს რა ეწოდება, კაცობრიობას ჯერჯერობით არ დაუდგენია. დიდად სამწუხაროდ ყოველწლიურად პრემი-რებული ჩვენი ზოგიერთი ვაი მწერალი თავის პოპულარობას სწორედ ამ უარგონების წამდაუწუმ ხმარებით აღწევს, ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!

ქაჯების გარდა რა შეიძლება ვუწოდოთ ისეთ „მოქალაქეებს“, რომლებიც ძალიან ხშირად მანქანებიდან ყრიან სიგარეტის ნამწვავს, მის კოლოფს, ბანანის კანს, ნახმარ „შპრიცებს“ და სხვა. საგულისხმოა, რომ ყველაზე გამომწვევად და ხშირად, ამას დაბურულიმინებიანი ჯიპის ტიპის მანქანების მძლოლები, თავიანთი მგზავრები ან ეგრეთყწოდებული მავანთა დაცვის ბიჭები ჩადიან. სამწუხაროდ, ანალოგიური ქცევისგან ზოგჯერ არც ჩვენი „სანაქები“ პატრულის ეკიპაჟი არის უცოდველი.

უფრო დიდი ქაჯობა იქნება? როცა რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთი ძალზე პრესტიული და პოპულარული სახელოვნებო სასწავლო აკადემიის რექტორმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის არ იყოს, გვარს არ დავასახელებ, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, არც მეტი, არც ნაკლები განაცხადა: „სადგურის ან ბაზრის რომელიც გნებავთ ქართული სიმღერა მირჩევნია ნებისმიერ რუსულ სიმღერასო“... რას იზამთ, კაცია და გუნება, რომ იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ. უფრო მეტიც, ერთ-ერთმა „პოპულარულმა“ ახალგაზრდა მწერალმა, რომელიც ყოველწლის სხვადასხვა პრემიის ლაურეატობას „ირტყამს“ ერთ-ერთი უკრნალის ერთ-ერთ ინტერვიუში ხმამაღლა განაცხადა: „მეზიზღება ქართული ტრადიციები და ქართველი ჩოხოსნებიო“.

სხვა კიდევ რა უნდა გითხრათ, ბატონებო, იქნებ ამ წლის შემოდგომამდე მაინც მოასწროთ რაიმეს გაკეთება.

ანთიმოზ ოკრიბელი
„საერთო გაზეთი“. 25-31 ივლისი, 2012 წ.

**პუბლიკაციები, რომლებიც შესულია
„შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს
პირველ ხუთ წიგნში**

სათქმელი დროულად უნდა ითქვას. – 1998 წ.

„პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები –
პოლიტიკურ საქმიანობას“ – 2001 წ.

უპასუხოდ დარჩენილი კითხვები. – 2001 წ.

პრეზიდენტს მისი გუნდის ბევრი წევრი დალატობს. – 2000 წ.

გვახსოვდეს ბავშვები. – 2000 წ.

პასუხი ორ შეკითხვაზე. – 2001 წ.

ახლა მაინც წაიკითხონ ჩემი მათლაძი გაგზავნილი წერილი. – 2001 წ.

ამჟამი სხვადასხვა აქციისათვის თავშემონაზული ხალხისა. – 2002 წ.

მოკლეს თბილისი, ჩვენი თბილისი, მთლად
გააბაზეს დედაქალაქი. – 2002 წ.

საბაზრო ეკონომიკა „ბაზარს“ როდი ნიშნავს! – 1992 წ.

გადაახდევინეთ მილიონი და აშენოს რამდენიც უნდა. – 2001 წ.

არჩევნები, ო, ეს არჩევნები! – 1999 წ.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდი –
სიკეთე თუ ბოროტება“ – 2005 წ.

რეგულირება თუ დერეგულირება. – 2005 წ.

შხოლოდ პროფესიონალიზმი გადაგვარჩენს – 2002 წ.

აღსრულდა ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველება,
კომუნიზმის ლიკვიდაცია კომუნისტების მეთაურობით
განხორციელდა – 2003 წ.

პოლიტიკოსები ისევ ქურდობენ – 2003 წ.

„სამჯერ წავიტეხეთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ
რიგიანი პარლამენტი“ – 2003 წ.

პრობლემა ნომერი პირველი – 2003 წ.

პრივატიზაცია – შეცდომა თუ დანაშაული?! – 2004 წ.

კვლავაც ვწეროთ და ჩვენვე ვიკითხოთ?! – 2004 წ.

თამამად ვეძებოთ ალტერნატიული ვარიანტები – 2004 წ.

ვერანაირი ახალი კანონი ვერ გვიშველის, თუ ეკონომიკის
განვითარების რაზიკალური პროგრამა არ შემუშავდა – 2004 წ.

საჭიროა მარტივფორმულიანი კონკრეტული პროგრამა – 2004 წ.

გაუგებარი ბრძანება და გასაგები ქუჩის აქციები,
ასე ეკონომიკას ვერ ავაშენებთ – 2005 წ.

გაუგებარი ბრძანება და გასაგები ქუჩის აქციები, ასე
ეკონომიკას ვითომ ავაშენებთ? – 2005 წ.

შევხედოთ სიმართლეს თვალებში – 2005 წ.

ვუახლოვდებით ჩვენს ზღვას, რომელიც, სამწუსაროდ,
ჯერ ასე შორია?! – 2005 წ.

წინის ერთადერთი გზა საყოველთაო შრომაა – 2005 წ.

საკონტროლო-სალარო აპარატების ყველა დონეზე
დანერგვის აბსურდულ მოთხოვნებს მის
დისკრედიტაციამდე მივყავართ – 2006 წ.

შეცდომები, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დაანგრია და
დღესაც ანგრევს – 2007 წ.

რას გვიქადის და დაქცევას, განადგურებას! – 2007 წ.

ცრუ ხელისუფალთა ცრუ საქმეები – 2008 წ.

პრეტენდენტებს - მზოლოდ თანაბარი პირობები – 2008 წ.

აურჩეველი რჩეული – 2008 წ.

ქვეყნის განადგურების გეგმას მთელი ერთ წინ უნდა აღუდგეს!
იქნებ კრის სულიერ მამას მაინც მივუგდოთ ფური – 2009 წ.

საკუთრების გარეშე კაცს სამშობლო არა აქვს – 2009 წ.

საქართველოს ეკონომიკის გადარჩენის ქართული გეგმა – 2009 წ.

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ მიხეილ სააკაშვილს – ვინ და რატომ ცდილობს
ხალხის და ხელისუფლების დაპირისპირებას?! – 2004 წ.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას – 2010 წ.

ღდა წერილი ქართველ მწერლებს – საქართველოს
მწერალთა XX ყრილობაზე ვერნათქვამი სათქმელი – 2000 წ.

ღდა წერილი ბატონ თამაზ წიგწივაძეს – 2001 წ.

ღდა წერილი ქვეყნის საკანონმდებლო და
აღმასრულებელ ხელისუფლებას –
უპასუხოდ დატოვებული კითხვები – 2001 წ.

ღდა წერილი ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს – ვაითუ ჩვენი
ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს... – 2010 წ.

ღდა წერილი ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილს –
თქენები ამას არ ველოდით – 2010 წ.

ღდა წერილი ბატონ ბაჩო ახალაიას –
დაღუპული გმირების სახელების უკვდავყოფაზე
ზრუნვა ყველას უპირველესი საქმეა! – 2010 წ.

ღდა წერილი ბატონ ზურაბ ნოღაიძელს –
ზოგიერთი ამონარიდი თქვენი წარსული საქმიანობის
შეფასების საბრალდებულო დასკვნიდან – 2010 წ.

ღდა წერილი ხელისუფლებას –
„ოღონდ ქართულად ვიღაპარაკოთ“ – 2007 წ.

ღდა წერილი „მწერალ“ ლაშა ბუღაძეს –
ყველაფერს აქვს საზღვარი, თვით თვალსაზრისსაც კი! – 2010 წ.

ენა გადავრჩინოთ, ქართველებო! – 2010 წ.

რომელი ეპოქა უფრო რყვნის უურნალისტებს? – 2010 წ.

შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!.. – 2011 წ.

ჩვენი დამაქცევარი საბჭოთა სისტემა... – 2011 წ.

ახალგაზრდობა – იმედი ხვალის... – 2011 წ.

ღია წერილი საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს –
ქართული ენის გადარჩენა ხელისუფლების
სერიოზული საფიქრალი უნდა იყოს! – 2011 წ.

კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნა პატრიარქს! – 2011 წ.

პუბლიკაცები, რომლებიც „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს კრებულებში არ არის შესული

პრივატიზაცია? დახ, მაგრამ...

გაზეთი „რესპუბლიკა“, 30 ივნისი, 1991 წელი

საბაზრო ეკონომიკას მომავალი თაობა გადავაყოლეთ
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 სექტემბერი, 1996 წელი

და წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ელიაზრ შევარდნაძეს
„სახალხო გაზეთი“, თებერვალი, 1999 წელი

ვიაზროვნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელისუფლებას არ მო-
სწონს. „ქართველი ძლიერია უფსერულის პირას მიყენებული“
„დილის გაზეთი“, 23 აგვისტო, 1999 წელი

გაყინული ექსპერიმენტი, ანუ მინისტრებმა პრეზიდენტის დავალება
მიიყურისძირეს

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 თებერვალი, 2000 წელი

ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის ხომ არ აკეთებენ
(გაყინული ექსპერიმენტი)

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 მარტი, 2000 წელი

ექსპერიმენტი, რომელიც შემოსავლების გაორმაგებას გვპირდებოდა,
სახელისუფლებო ქსელში „გაჭველეს“

გაზეთი „დრონი“, 18 ივლისი, 2000 წელი

დაე, ისმინოს ბრმამაც და ყრუმაც!

გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“, იანვარი, 2001 წელი

**ღა წერილი საქართველოს მწერალთა კავშირის
თავმჯდომარეს, ბატონ თამაზ წივწივაძეს
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,
9-15 ოქტომბერი, 2001 წელი**

**დაე, ისმინოს ბრძამაც და ყრუმაც!
გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“, ივნისი, 2001 წელი**

**ფიქსირებული გადასახადები ტოტალური საგადასახადო
კორუფციის შემცირებისა და მეწარმეობის გადაწინის
ერთადერთი შანსი
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 აგვისტო, 2001 წელი**

**ჩვენთან პროფესიონალიზმის დეფიციტია
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ივლისი, 2002 წელი**

**ხმამაღლა სათქმელი
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 მარტი, 2003 წელი**

**ამ პროგრამით „ტაძრამდე“ ვერ მივაღთ
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
23 ოქტომბერი. 2003 წელი**

**ნუ იქნებით „სტავკების“ ტყვეობაში, ნუ გადაიხდით
ქრთამს თქვენი შეიღების უსწავლელობაში
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, 2004 წელი**

**ვინ რას მიიღებს პრივატიზაციიდან
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2004 წელი**

**რატომ ამჯობინებენ დუმილს მეცნიერები
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
21 აგვისტო, 2004 წელი**

**გადასახადების ამკრეფთ შემოქმედებითი
მიღვომა აღარ დასჭირდებათ
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 იანვარი, 2005 წელი**

**„მაგიური“ ბრძანება ანუ „საით მიღიხარ,
საცოდაო საქართველოვ?!
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა, №5, მარტი, 2005 წელი**

**ფიქსირებული გადასახადი და სიღარიბის დაძლევა
გაზეთი „მცირე მეწარმე“, ივლისი, 2005 წელი**

**მეტი დაფიქრება გმართებთ, ბატონებო
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
27 სექტემბერი, 2005 წელი**

**დროა თავი დაანებონ ხავსზე მობლაუჭებას
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 ნოემბერი, 2005 წელი**

Сначала надо заживать рану, а потом уже думать о шраме
газета “Свободная Грузия”, 17 ноября, 2005 г.

**„სოფლის შენებას რა უნდა“
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ნოემბერი, 2005 წელი**

**საზოგადოებრივი ტელევიზია საქუთარ საზოგადოებას დასცინის
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 10 მარტი, 2006 წელი**

**„სახელი ხალხისა, სახრავი – სხვისა“ ანუ ვის
ინტერესებს იცავს საზოგადოებრივი მაუწყებლობა?
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 მარტი, 2006 წელი**

**ბუმერანგი უკვე დაგვიბრუნდა, ქვეყანა სულს დაფავს
გაზეთი „ქრონიკა“, 30 ოქტომბერი 5 ნოემბერი, 2006 წელი**

**ესენი თავის ჯიბის მაფურებელი ხალხია
გაზეთი „ქრონიკა“, 6-12 ნოემბერი, 2006 წელი**

**ქართულ სახელმწიფოს მიზანმიმართულად ანადგურებენ
„საერთო გაზეთი“, მაისი, 2007 წელი**

**საქართველოს პარლამენტი უკანონობის დაკანონებას აპირებს
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 ნოემბერი, 2008 წელი**

**საქართველოში კნონის შეუსრულებლობის უზენაესობა მეფობს
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ნოემბერი, 2008 წელი**

**ვის ხარჯზე მდიდრდებიან ჩინოვნიკები?
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 დეკემბერი, 2008 წელი**

**იტყვების წოლაიდელი სიმართლეს?
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 თებერვალი, 2009 წელი**

**ნუ დავასხამთ წყალს სხვის წისქვილზე
„საერთო გაზეთი“, 25 თებერვალი, 2009 წელი**

**პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები – პოლიტიკოსობას
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 მარტი, 2009 წელი**

**რასაც ეს მთავრობა აკეთებს, ეს არის ქვეყნის
და ხალხის დალატი
„საერთო გაზეთი“, 11 მარტი, 2009 წელი**

**თუ რუსეთთან ეკონომიკური კავშირი
გავწყვიტეთ წარმოუდგენელი კატასტროფა გველის
„საერთო გაზეთი“, 14 აგვისტო, 2008 წელი**

**მაისაშვილისგან უარესაც უნდა ეღლოდეთ!
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 აპრილი, 2009 წელი**

მოაზროვნე საზოგადოება ამას უკვე აღარავის აპატიებს
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 იანვარი, 2010 წელი

შინაური მტერი – მტერზე უფრო მტერი!
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 იანვარი, 2010 წელი

დენთის სუნი მცემს
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 22 აპრილი, 2010 წელი

ბაქიბუქის დრო დამთავრდა, გადადით კონკრეტულ საქმეზე!
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 ნოემბერი, 2010 წელი

ფურცელიტა ბიუროკრატები
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 მარტი, 2011 წელი

შეეძვით ხალხის დაბოლებას, ქმარა!
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 იანვარი, 2012 წელი

საპრეზი

ავტორისაგან -	3
ერის წყლული სტკივა წყლულად... -	6
სკამდაკარგულთა და სკამდაუკარგავთა შეცდომები და დანაშაული-----	9
„...ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა როგორც ერი!“ -----	13
ნაციონალებს ხმას არ მივცემ! -----	19
სანამ შევიგნებთ, რომ ჩვენი ბედი ჩვენსავ ხელთაა! -----	25
დადასტურებული, უტყუარი ფაქტები საბრალდებო დასკვნისთვის -----	29
„ქაჯები მოდიან“ და მრავლდებიან... -----	37
პუბლიკაციები, რომლებიც შესულია „შეცდომა თუ დანაშაული?!”-ს პირველ ხუთ წიგნში -----	41
პუბლიკაციები, რომლებიც „შეცდომა თუ დანაშაული?!”-ს კრებულებში არ არის შესული -----	46

ანზორ ბაბუხაძის
„შეცდომა თუ დანაშაული“
VI ნაწილი
(ქართულ ენაზე)

ANZOR BABUKHADIA

Mistake or Punishment?!

(Part VI)

ანზორ ბაბუხაძის:
599 54-54-60; 579 54-54-60; 222-43-39